ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 203

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გამარტივებული შესყიდვა

(სამუშაოს შესყიდვა)

ზესტაფონი **21 აგვისტო 2015 წელი**

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი გამგებლის ტარიელ თუთარაშვილის სახით (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ №11 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი დავით ტყემალაძე (მისამართი ქ.ზესტაფონი, შროშა (შემდგომში-შემსრულებელი), ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N 506 განკარგულება ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" , ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის უფროსის 2015 წლის 05 აგვისტოს N 1632–43 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ -"ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "შემსრულებელი" პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.6 ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2 .ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ეკონომიიდან სამუშაოს შესყიდვა. კლასიფიკატორის კოდით 45200000. (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N 506 განკარგულება ,, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ").

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტი – შროშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ექსეულიძეების უბანში 08 კილომეტრიანი საავტომობილო საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა.

სმუხლი 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

[illegible]ლების ობიექტის საერთო ღირებულება 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარი.

[illegible]ინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების [illegible]ედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1 . შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ობიექტის მზადყოფნა სამუშაოების დასაწყებად;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
ბ) შემსრულებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსთხოვს შემსრულებელს ნაკლის აღმოფხვრა.

5.3.შემსრულებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება .
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
გ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება ხარისხით, სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით .
დ) წარმოადგინოს სამუშაოთა შესრულების შესახებ ფორმები, რომლებიც ასახავენ შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და ღირებულებას (შემდგომში „ფორმა №2")

ე) სამუშაოს დასრულებიდან Ø1 (ერთი) წლის ვადაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ წუნი გამოწვეულია შემსრულებლის მიზეზით, იგი ვალდებულია აღდგენითი სამუშაოები უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

ვ) შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გონივრულ ვადაში მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღისა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა–დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.

ზ) სამუშაოს პროცესში შემსრულებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ეკოლოგიური ზემოქმედების, ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

თ) შესარულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით.

ი) სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი–გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და სინათლის ამრეკლი შუქნიშნების დაყენება.

კ) მომუშავენი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ასევე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებებიც. აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა.

5.4 შემსრულებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ობიექტის მზადყოფნა სამუშაოების დასაწყებად.

ბ)მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.2.შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა ვრცელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 01(ერთი) წლის განმავლობაში.

6.3. ამ მუხლის 6.2 პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში მოახდინოს წუნის გამოსწორება.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

7.1. შესყიდვის ობიექტის შესრულების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 20 სექტემბრამდე.

7.2 სამუშაოს შესრულების ადგილი– შროშის ადმინისტრაციული ერთეული.

მუხლი 8 . ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (მათ შორის ტექნიკური ზედამხედველობა) განხორციელდება საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად, პერიოდულად, როგორც სამუშაოს შესრულების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან.

8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ აცნობებს შემსრულებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

8.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.4. ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 05 თებერვლის N 43 280 ბრძანებით შექმნილი კომისია.

მუხლი 9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სამუშაოს მიღება–ჩაბარების აქტით, (ფორმაN2) რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და შემსრულებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

მუხლი 10. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

10.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

10.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

10.3. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის (ფორმაN2) წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი უნდა გაეგზავნოს მხარეს და მიეწოდოს მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

[illegible]ობინება შეიძლება გადაეცეს ხელიდან ხელში მხარის მიერ შესაბამისი დამოწმებით ან გაიგზავნოს [illegible]ული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში,მაგრამ არაუგვიანეს 05 (ხუთი) სამუშაო დღისა, უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების ამავე მუხლის შესაბამისად.

12.3. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელსეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე.

12.4. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა მუხლით.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის ან/და ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0, 1 %.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3(სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 შემსრულებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

13.5 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში სამუშაოს შემსრულებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30(ოცდაათი)%–ის ოდენობით.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 15. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით

აწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

16.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

16.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 17. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. სხვა პირობები

18.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2.. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ,03 (სამი) ეგზემპლიარად, რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

18.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 19. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები, ხელმოწერები

შემსყიდველი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ტარიელ თუთარაშვილი

სს „ლიბერთი ბანკი"

ზესტაფონის ფილიალი

ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ა № GE03LB0120177576710000

ს/კოდი:230087045

მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. 11

ტელ 0492 25 26 26

შემსრულებელი:

ფიზიკური პირი

დავით ტყემალაძე

სს „ ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი LBRTGE22

ა./ა № GE 58LB0711180118256000

ს/კოდი № 18001059937

მის: ქ.ზესტაფონი. შროშა

მობ: 557 48 8835

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2015 წლის 21 აგვისტო

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 05 თებერვლის №43 280 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ფიზიკურ პირთან დავით ტყემალაძე –სთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ეკონომიიდან სამუშაოს შესყიდვასთან დაკავშირებით.

ტარიელ თუთარაშვილი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

1. ნიკოლოზ კრავეიშვილი (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი)
2. გიორგი ჯუღელი (სამუშაო ჯგუფის წევრი)
3. გოჩა კაკოიშვილი (სამუშაო ჯგუფის წევრი)
4. გიზო ჭყოიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
5. თეიმურაზ წიწილაშვილი (სამუშაო ჯგუფის წევრი)
6. დემური სვიანაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)
7. მალხაზ ბაკაშვილი (სამუშაო ჯგუფის წევრი)
8. სამუშაო ჯგუფის დროებითი წევრი–გამგებლის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში: